№ 240

პარასკევი, 11 ნოემბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 240

პარასკევი, 11 ნოემბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად: და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 11 ნოემბერი

—

„დიდების ტაძრის“ ახლად აგებულ შენობის კედელზედ ტფილისში, მთავრობას გამოუკრავს მარმარილოს ფიცარზე ოქროს ასოებით ამოჭრილი იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას შეეხება.

ამ ისტორიულ საბუთიდან ბულვარზე მოსიარულე ხალხი ტყობულობს, რომ საქართველოს ნება-ყოფილობით მიუღია რუსეთის მეფეთა ქვეშევრდომობა.

ეს მანიფესტი და მრავალი კიდევ სხვა სიგელი, რომელიც შეეხება საქართველოს თავისუფლების უკანასკნელ დღეებს და რომელიც ჯერ არ არის გამოფენილი, ჩვენის საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა კარგა ხანია იცოდა არქეოლოგიურის აქტებიდგან. მაგრამ ხალხისთვის, რომელსაც ისტორიისა არა გაეგებარა, ეს მანიფესტი, უთუოდ, ახალი რამ იქნება.

უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ დიდად მოგვეწონა მთავრობის ასეთი განკარგულება, რადგანაც აქ მხოლოდ ერთი რამ ვიგულისხმეთ: ჩვენ გვგონია, მთავრობას ამ მანიფესტის გამოცხადებით საქვეყნოდ უნდოდა ეთქვა, რომ ქართველები თქვენის ნებით შეჰკედლებიხართ რუსეთის მეფეთა საფარველს, რომ თქვენ დაპყრობილნი როდი ხართ სხვა დამონებულ ეროვნებასავით, და, მაშასადამე, გულ დამშვიდებული შეგიძლიათ იყოთ თქვენის ეროვნულ თვისებათა შესახებ. ამ თვისებათ-კი, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ ამითი განსხვავდება ერთი ერი მეორისაგან, და ამ თვისებათა გარეშე, ეროვნული ცხოვრება შეუძლებელია.

შეგნებულმა ნაწილმა ჩვენის ქვეყნისამ, რასაკვირველია, როგორც ზევითა ვსთქვით, იცოდა, რომ რუსეთის მეფენი არასოდეს არა სთვლიდნენ საქართველოს დაპყრობილ და ძალით აღებულ მხარედ. დარწმუნებულნი ვართ, ეს თვალთა ხედვის ისარი ჩვენის რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, შემდეგშიც არ შეიცვლება; მაგრამ ხალხისთვის იმისი გაგებინება, რომ იგი დაპყრობილი არ არის და, მაშასადამე, ნურც რისამე შიში ექნება, ძალიან დროსა და საჭიროებაზედ მოფიქრებული აზრია.

რუსეთის სახელმწიფოში ერთია მბრძანებელი და ქურის დარაჯიდგან დაწყებული პირველ მინისტრამდე ყველანი მტკიცე აღმასრულებელნი უნდა იყვნენ ამ უმაღლესის მბრძანებელის ნებისა. მაშინ, როდესაც ჩვენ გვესმინა ტახტიდან წარმოთქმული კეთილშობილი და ჭეშმარიტად სახელმწიფო სიტყვები ხელმწიფისა, რომ ჩემთვის ჩემის სამეფოს ყოველი ეროვნება თანასწორად ძვირფასიაო, ჩვენ დიდის სიხარულით მივეგებებით ყოველს იმას, რაც გამომეტყველი იქნება ხელმწიფე იმპერატორის ზემოხსენებულ უმაღლესს სიტყვებისა.

რა საჭიროა, დავფაროთ, რომ უკანასკნელ ხანში აქ სხვა-და სხვა სფერაში ზოგიერთმა გმნსაკუთრებულმა გარემოებამ მიიქცია საერთო ყურადღება და დაგვანახვა, რომ ჩვენთვის განსხვავებულის საწყაოთი დაიწყეს ზომვა. რა თქმა უნდა, რომ ასეთის განსხვავებულის საწყაოს ხმარება ცუდი იარაღი იყო კარგის გრძნობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად სალხში.

მაგრამ ყოველი ესე, იმედი გვაქვს, გადაიქცევა მალე ისტორიად და არც ერთი უფლება, რომელიც მინიჭებული ექნება რუსეთში სხვა ეროვნებას, არ ასცილდება ქართველს ერს. ამისი თავდებია სიტყვები ჩვენის ახალგაზდა მეფისა, რომელმაც ჰბრძანა: ჩემთვის თანასწორად ძვირფასია რუსეთის ყოველი ქვეშევრდომიო.

მეველე

---

## უკანასკნელნი დღენი გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორისა.

—

გაზეთ „Москов. Вѣд.“-ში დაბეჭდილია მესამე წერილი ლივადიიდგან, რომელშიაც ახალი, დაწვრილებითი, ცნობებია იმპერატორის უკანასკნელის დღეების შესახებ.

„17 ოქტომბერს და შემდეგს დღეებში ხელმწიფეს სისუსტემ თანდათან უმატა. არავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ ძვირფასის ავადმყოფის ამ გვარი მდგომარეობა უბედურებას გვიქადდა და, იქნება, უკანასკნელს ლამესაც ატარებდა. ამბობდნენ, რომ ავადმყოფს სულთქმა თანდათან უძნელდებაო და მერე ისე ძლიერ, რომ იძულებულნი არიან მჟავბადი აძლიონო. 19 ოქტომბერს რამდენჯერმე მიჰმართეს ამ საშუალებას. გარნა, მიუხედავად იმ ტანჯვისა, რა ტანჯვასაც ჰგრძნობდა ხელმწიფე, დიადი მოღვაწე რუსეთის ქვეყნისა არა ერთხელ შეეცადა საქმის გაკეთებას, მაგრამ ძალ-ღონე ჰღალატობდა ხოლმე და წინანდელზედ უფრო ხშირად სარეცელზედ მიესვენებოდა. გულ-მაგრობა და სიმხნევე მაინც არა სტოვებდა გვირგვინოსანს: იმის ნაცვლად, რომ დაეჩივლა თავისი ტანჯვა-ტკივილები და სხვის ნუგეშის ცემა ეძია, ხელმწიფე იმპერატორი თითონ ანუგეშებდა თავისს მახლობელთ. ამ დროს ავადმყოფს კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა და ჰგრძნობდა კიდეც, რა ბოლოც მოელოდა. მით უფრო საკვირველია ის სიმტკიცე გულისა, რომლითაც ალექსანდრე III ელოდდა თავისს აღსასრულის დღეს.

„პირველი ბიულეტენი, რომელიც ცხრა საათზედ გამოსცეს, აღნიშნავდა ავადმყოფის საშიშს მდგომარეობას. სულთქმა დიდად შეხუთული ჰქონდა, გულის ცემა დასუსტებული. მეორე ბიულეტენი უფრო საშიში იყო. ავადმყოფი სრულს გონებაზედ იყო, მაგრამ გულის მოქმედება თანდათან სუსტდებოდა და სულთქმა თანდათან უძნელდებოდა. როგორც მოგვითხრობენ, ხელმწიფეს იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭნია, თუმცა-კი საღამოსვე მიწვა სარეცელზედ.

„დილით, ჩვეულებრივზედ უფრო ადრე, მოისურვა ტანისამოსის ჩაცმა და ითხოვა, სავარძელთან მიმიყვანეთო. თავისს სიცოცხლის უკანასკნელს წუთსაც იგი რუსეთის შესახებ ჰფიქრობდა და უნდოდა ეშრომნა! მარტო დაახლოვებულებმა იციან, რომ ხელმწიფემ სტოლზედ წერა დაიწყო. კვლავ სულთქმა თანდათან უძნელდებოდა, რის გამოც ხშირად მიჰმართავდნენ ხოლმე მჟავბადს. 7 საათზედ ხელმწიფემ დაიბარა მემკვიდრე ცესარევიჩი და ერთს საათს მარტოს ესაუბრებოდა, შემდეგ უბრძანა, სხვა შვილებიც მოეყვანათ და მამა იოანნე (კრონშტადტელი) დაებარებინათ. უავგუსტოესმა ავადმყოფმა საათზედ მეტს დაჰყო თავისს სახლობასთან, იმპერატრიცას ხელი ხელში ეჭირა და გულ-დასმით ელაპარაკებოდა ყოველს თავისს შვილს, ცალკ-ცალკე, ხოლო როდესაც მოვიდა მამა იოანნე, მან თავისი შვილები დალოცა. ამ დღიდგან იმპერატრიცა და შვილები აღარ მოშორებიან ავადმყოფის მშობლის ოთახს. ხელმწიფე იმპერატორის სურვილისამებრ, მოწვეულნი იქმნენ დიდნი მთავარნი და მთავრინანი და შეიკრიბნენ იქვე, მეორე ოთახში.

„ათს საათზედ მამა იოანნე სასახლიდგან წავიდა ორიანდუში საწირველად. მ. იოანნეს წასვლის შემდეგ სასახლეში მოვიდა პროტოპრესვიტერი იანიშევი და ხელმწიფე იმპერატორმა სრულის გონებით წმ. საიდუმლო მიიღო.

„თორმეტს საათზედ ავადმყოფის მდგომარეობა შესამჩნევად გაძნელდა და სჩანდა, რომ უბედური წამი ახლოვდებოდა, მაგრამ მაგარი აგებულობა მეფე-გმირისა კვლავ შეებრძოლა ძნელს სენს და მისმა უმაღლესობამ ცოტა მოიხედა. იბრუნებდა რა ძალ-ღონეს მჟავბადის ხშირის სუნთქებით, ხელმწიფე იმპერატორმა დიდს მთავართა და მთავრინათ ცალკ-ცალკე უკანასკნელად გამოემშვიდობა და ნათესავებს ნუგეშინი სცა. ძალ-ღონე თანდათან უსუსტდებოდა და დასასვენებლად თავი დააყრდნო ხელმწიფე იმპერატრიცას მხარს, რომელიც მარჯვნივ უჯდა და მარცხენა ხელით ავადმყოფს იმაგრებდა. სავარ-

---

# ფელეტონი

—

## რაჭის ფიზიკური აღწერა

რაჭის მდებარეობა.—მდებარეობის დახასიათება.—რაჭის ბუნების სიმდიდრე.—მადნეულობა, სამკურნალო წყლები და სასუნებლები.—რაჭის ნიადაგი: მეწყერი და მისი ახსნა.—რაჭის ნიადაგის კარგი თვისება.

რაჭა მდებარეობს ორხს მაღალს ქედს შუა და წარმოადგენს საზოგადოდ მთიანს ალაგს. ბუნებას ეს მხარე გაუყვია ორ ნახევრად: ერთი სძევს თითქმის კავკასიონის ქედის ძირს, მაღალს მთებზედ, და ჰქვიან ზემო-რაჭა, მეორე უფრო დაბლობზეა და ქვემო-რაჭად იწოდება. მთები დაწოწოლავებულია შაქრის თავივით და ზოგიერთი ძალიან მაღალია. სიმაღლით უფრო შესანიშნავნი არიან კატისწვერა და შოთა.

საზოგადოდ რაჭაში მთას სასიამოვნო შეხედულობა აქვს: მშვენიერს მცენარეს ათასფრად დაუფერადებია მთები; ძირები მოფენილია ვენახებითა და ყანებით; მწვერვალნი უმეტეს ნაწილად მცენარით არის შემკული.

მთასა და მთას შუა სწორე ადგილები გაშენებულია სოფლებით და ან დაკავებულია ვენახებით, ან სახნავ-სათესებით; საძოვრები და მინდვრები რაჭაში იშვიათია; აქ არც ტყეს ჰნახავთ ხშირად: კაცის ხელს ტყე თითქმის ყველგან ამოუკაფია, სადაც-კი მისწვდომია. ამის გამო, რასაკვირველია, რაჭა მდინარეებით არ არის მდიდარი: ძვირად შეხვდებით, რომ სოფელს მდინარე ჩამოუდიოდეს.

ზემო-რაჭას შუა, ვიწრო ხეობაში, დიდის შხუილით ჩამორბის რიონი. საშინელს სიჩქარეს და უზარმაზარს ქვებს, რომელსაც მოაგორებს თან, რიონი თითქმის ქაფად უქცევია: შორიდგან, რომ შეჰხედოთ, მდინარე რძედ გეჩვენებათ!

მდინარე სოფ. წესთან მარჯვნივ უხვევს, ლეჩხუმისაკენ. წესთან ბუნებას მშვენიერი კარები გაუმართია: ორი საშინლად მაღალი და სწორედ ჩამოთლილი სიპი კლდე მიახლოვებია ერთმანეთს; ვიწროში რიონი გარბის. ესე ორმოც ფუტის სიმაღლეზედ, ერთს მხარეს, გაყვანილია გზა: თუ ამ გზით არა, სხვაფრივ გამოსვლა პაწია პირუტყვისათვისაც შეუძლებელია! ამ ალაგსავე გამართულია ხიდი და იწყება ქვემო-რაჭისაკენ მიმავალი გზა.

ზემო-რაჭაში რიონს ერთვის რამდენიმე მდინარე. ამ მდინარეთა შორის შესანიშნავია ღარულა, ჯოჯორი და გლოვლა. ღარულა, თუ არ ვცდებით, ერთად-ერთი მდინარეა, რომელიც ჩამოუდის რამდენსამე სოფელს და რწყავს ზემო-რაჭის ყანებს. ღარულა სოფ. ღართან რიონს ემატება. გლოვლის მდინარე კარგა დიდია და სიდიდეს გამო გლოველები პატარა რიონს ეძახიან. ეს მდინარე გლოვლის ახლოვე რიონს ერთვის.

ქვემო-რაჭა საზოგადოდ ჭაობიანი ადგილია. ნაქერალის ქედთან იწყება შესანიშნავი მდინარე შაორი. ეს მდინარე მთის ახლო მიწიდგან ამოდის და ასე ათის ვერსის მანძილზედ მიწაში იკარგება. შაორი დიდი მდინარეა და მშვენიერი კალმახი იცის. ამბობენ, ერთმა აქაურმა კალმახმა ორი ძმა წულუკიძე წყალში შეათრია და ორივენი დაირჩვნენო; ჩემის თვალით ვნახე, რომ ამ მდინარეში ორაგულის ტოლა კალმახი დაიჭირეს.

ქვემო რაჭაში სამი ტბაა: ორი ხარისთვალას და ერთი ნიკორწმიდის ახლო. ტბა ხარისთვალა თუმცა სიგანით პატარაა, მაგრამ ძალიან ღრმაა, ასე, რომ თურმე ხარისთვალმაც ძირამდის ვერ ჩაუხწია: ამიტომაც ხარისთვალას ეძახიან. მეორეს, იქვე მდებარე ტბას, ძროხისთვალას უწოდებენ.

ქვემო-რაჭის მდინარეთა შორის მოსახსენებელია მდინარე ხოტევა; ამ მთის წყალმა გაზაფხულობით საშინლად მოდიდება იცის. ვიმეორებთ, სოფლისათვის გამოსადეგი მდინარე რაჭაში იშვიათია. უმეტესს ნაწილად მდინარეები სოფლებს ჩამოუდის. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფლის ახლო-მახლო ტყე ამოუკაფიათ და მთის მდინარე ხომ უტყეოდ ვერა სძლებს, ჰშრება.

დიდ ტყეებს შუა შესანიშნავია გლოვლის ახლო მდებარე დაბურული ტყე, ხოტევის ახლო, საწალიკეზედ, სასოფლო ტყე, ნიკორწმინდის ახლო წულუკიძეების ტყე, სადმელის ტყე და რამდენიმეც სხვა.

რაჭის ბუნება მდიდარია. ვინც

ძლის იქით იდგნენ მემკვიდრე ცესარევიჩი თავისის უმაღლესად სახელწოდებულის სასძლოთი და იმათ გარშემო-კი სამეფო გვარეულობის დანარჩენნი წევრნი.

„თითქმის სულის დალევამდის სრულს გონებაზედ იყო, დასუსტებულის ხმით ელაპარაკებოდა იქ მყოფთ და თითოეულს მათგანს ალერსიან სიტყვას ეუბნებოდა. სიკვდილის სამი წუთის წინ ხელმწიფეს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ველარ შესძლო, მიუბრუნდა მხოლოდ პროფესორს ლეიდენს, რომელიც მის მაჯის ცემას თვალ-ყურს ადევნებდა, და უბრძანა „მეავმბადიო!“ მაგრამ სანამ ლეიდენი აასრულებდა მამაკვდავის თხოვნას, ხელმწიფე იმპერატორმა, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩი მხრებში უჯდა, თავი დახარა ხელმწიფე იმპერატრიცას მხარზედ და სული განუტევა.

„ხელმწიფემ იმპერატრიცას და მემკვიდრე ცესარევიჩის ხელზედ დალია სული. განსვენებულის მარცხენა ხელი დაშვებული იყო იმპერატრიცას მუხლზედ, მარჯვენა-კი თვით იმპერატრიცას ეჭირა ხელში და ისევე დარჩა, სანამ განსვენებულს ეთხოვებოდნენ ნათესავები, სასახლის მოხელენი და მოსამსახურენი. განსვენებულს ხელზედ ემბორებოდნენ, შემდეგ შემოუვლიდნენ ხოლმე სავარძელს და ხელმწიფე იმპერატრიცას მხარზედ ემბორებოდნენ. როდესაც მემკვიდრე ცესარევიჩმა შეატყო თავისს უავგუსტოესს დედას დაღალვა, უბძანა, ჯერ-ჯერობით ნუღარავინ გამოესალმებოდა, ვიდრე მიცვალებულს სარეცელზედ დაასვენებდნენ.

„საგრძნობელი და გულ-საკლავი სანახავი იყო, მოსამსახურეები რომ ესალმებოდნენ. აქა სჩანდა ის განუსაზღვრელი სიყვარული, რომელსაც განსვენებული უნერგავდა გულში ყველას, ვინც-კი დაახლოვებული ყოფილა ხელმწიფესთან. არც საკვირველია ესა, რადგან განსვენებული ყველას დიდის ალერსით ექცეოდა. იმისათვის ყველა თანასწორი იყო და როგორც თავისს ნათესავებს, ისე უყვარდა თავისი ქვეშევრდომნიც. იგი არ გამოარჩევდა დიდებულსა და არა დიდებულსა, დიდსა და პატარას.

„ხელმწიფის გარდაცვალების ამბავი ლივადიიდგან მსწრაფლ გავრცელდა იალტაშიაც და „Память Меркурія“-დგან ხშირმა ზარბაზნების სროლამ მეაგარაკეთაც ამცნო, რომ ხელმწიფის ტანჯვანი უკვე დასრულებულა. იალტისა და ლივადიის ქუჩებზედ ხალხი ჯგუფ ჯგუფად გროვდებოდა და ერთმანეთს გადასცემდნენ სამწუხარო ამბავს, ხელმწიფის გარდაცვალების დაწვრილებით ცნობებს, იმ ხელმწიფისას, რომელიც ისევე დიდ სულოვანად და მედგრად მიეგება თავისს აღსასრულს, როგორც დიდ სულოვანი იყო სიცოცხლის დროს“.

## ალექსანდრე III ს ძეგლი.

გაზ. „Нов. Вр.“-თვის ერთ რუსს შემდეგი წერილი მიუწერია:

„პეტერბურგში, იზმაილის ტაძრის პირდაპირ, აღმართულია „დიდების“ ძეგლი იმ მასალით, რომელიც ამ უკანასკნელის ომიანობის დროს რუსის სისხლით არის აღებული ბოლგარიაში.

ვგონებ, შესაფერი იქმნება, თუ ეხლა სიმართლისა და მშვიდობას დიდ მომხრეს დაუდგამს ისეთს ძეგლს, რომ მასალად ხელმწიფის კუბოსთვის გამოგზავნილი გვირგვინები გამოდგება და რომელიც მშვიდობიანობის ნიშნად ჩაითვლება. ეს გვირგვინები ლაზათიანად რომ მოუწყონ ერთ-მანეთს, სხვა ძეგლებთან შედარებით მდარე ძეგლი არ გამოვა (ზედ დაეხურება სქელი შუშა) და სულ-მაღლა დაიდგმის იმ მეფის ძეგლი, რომელმაც თავისის გულმართლობითა და შრომით ასეთი საპატიო ალაგი მოუპოვა რუსეთს მთელს დედამიწის ზურგზედა. შემდეგ პროექტის ავტორი ამბობს, რომ ძეგლი პეტრე დიდის გვერდით უნდა დაიდგასო. ამ აზრს „Нов. Вр“. დიდის თანაგრძნობით ეთანხმება.

## რუსეთის ცხოვრება

—

პროფესორმა ზახარინმა ლივადიიდგან დაბრუნების შემდეგ პირველად 4 ნოემბერს წაუკითხა ლექცია სტუდენტებს. აუდიტორია მსმენელებით იყო გავსებული. როდესაც ზახარინი გამოჩნდა, ყველა [illegible] აღტაცებით მიეგება და ტაშის ცემა დიდხანს აღარ შეწყვეტილა. ზახარინს ძალიან ესიამოვნა ეს ამბავი და სიტყვით მიჰმართა სტუდენტებს, და გამოსთქვა ის მწუხარება, რომელსაც იგი ჰგრძნობდა მომაკვდავ იმპერატორის სარეცელთან. პროფესორი ისე აღელვდა, რომ ლექციის წაკითხვა ველარ შესძლო, ვიდრე კარგა ხანს არ დაისვენა.

—

ყველაზედ უფრო ძლიერი მოქმედება და გავლენა ამ უკანასკნელს დღეებშიო, ამბობს მოსკოველი კორესპონდენტი გაზ. „Нов. Вр“-სა, იქონია ერთმა გარემოებამ, რომელიც 31 ოქტომბერს მოხდა კრემლში. სწორედ რომ სამწუხარო და დიდი სანახავი იყო ხილვა მოედანზედ უთვალავის ქუდ-მოხდილის ხალხისა, ტაძრების მისავალში ჩამწკრივებულ გიმნაზიელებისა, კორპუსისა, უნივერსიტეტებისა და მრავალ სხვა სასწავლებლების მოსწავლეებისა, ათასის დეპუტაციებისა და სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენელთა; „ივან ველიკის“ ეკკლესიებზედ ჯიანჭველასავით არეული ხალხისა. ხილვა იმისი, როდესაც, ვიმეორებ, ამ ათასობით შეკრებილმა ხალხმა დაინახა, მეფის სასახლის კარი როგორ გაიღო, გამობრძანდა ხელმწიფე, თავისის ღრმა შავებში შემოსილის მშობლითურთ, რომელთაც წინ ორი კარის-კაცი და უკან მცირე ამალა ახლდათ.

ხალხმა, რომელიც სამარებრივს სიჩუმეს არ არღვევდა მათი უდიდებულესობათა დანახვაზედ თავი ველარ დაიჭირა, ღელვდა, ვერ მოახერხა თავისის გრძნობის დაფარვა და შესძახა ერთი უშველებელი „ურა!“

## კორესპონდენცია

—

**ს. ხოტევი** (რაჭის მაზრა), 30 ოქტომბერი. ხოტევის და ნიკორწმინდის საზოგადოებათა შეერთებამ და საშვალო ალაგის ამორჩევამ სასწავლებლისათვის და სოფლის სამმართველოსათვის დიდი ალიაქოთი ასტეხა ჩვენში. პირველად, დაადგენინა რა ხალხს მაზრის უფროსმა განაჩენი, უბრძანა ამოერჩიათ შუა ალაგი. ორივე საზოგადოებამ ერთხმად შეჰყვირეს: „სამქიას და ჭელიაღელეს ხიდებს შუა, რომელი ალაგიც უფრო იაფად დაგვიჯდება, ის უნდა ვიყიდოთო“ და კიდეც დაასახელეს ერთი ალაგი, რომელიც ეკუთნის აზ. მომცემლიძეებს. მაზრის მმართველებმა და საერო სასწავლებლების ინსპექტორმა დაათვალიერეს ეს ალაგი, მოიწონეს და საზოგადოებას თანახმა გაუხდნენ-ხოტევის და ნიკორწმინდის სამმართველოებს შუა არის ოთხი ვერსი ადგილი; ეს ალაგი მოსაწონია, რადგან იმყოფება ამ ორ საზოგადოებას შუა, მაღალი და გაშლილია, ზომით ორ ქცევამდე იქნება და ისყიდება იაფად, 360 მანეთად. საზოგადოებამ აირჩია რამდენიმე კაცი და იმათ მიანდო ეს საქმე.

ამორჩეულმა კაცებმა, რომლებიც უმეტეს ნაწილად ნიკორწმინდელები იყვნენ, ახალი მამასახლისის ჩაგონებით, გადასწიეს თავის, მხარეს კენ სიმართლის სასწორი და ხელახლავ აარჩიეს სასწავლებლისა და სასოფლო სამმართველოს შენობისათვის შუა-ალაგად გლეხთა აბუთიძეების ადგილი, ამის გამო ხელმეორედ ატყდა ლაპარაკი, თითქმის თორმეტჯერ მაინც მოხდა კრება, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ხოტევის მიერ ამორჩეული კაცები იძახოდნენ „მომცემლიძეების ადგილი გვინდაო“, ნიკორწმინდელები-კი აბუთიძეების ადგილს ამჯობინებდნენ. ბოლოს მამასახლისმა ამორჩეულის კაცებით მიჰმართა მაზრის უფროსს; მაზრის უფროსმა მოსწერა პოლიციის ბოქაულს: ენახა ეს ადგილი და თუ მოხერხებული ბინა იქნებოდა სკოლის და სამმართველოსათვის, გადაეწყვიტა შენობის აგება ამ ალაგზედ. ბოქაულმა, ბევრის დავის შემდეგ, დაუნიშნა საზოგადოებას ხსენებული აბუთიძეების ადგილი. საზოგადოებამ იყიდა ეს ადგილი, ზომით ქცევა ნახევრამდე, 530 მანეთად. დღეს უკვე სოფლის სამმართველო ააშენეს ამ ალაგზედ და ეხლა ორკლასიანის სკოლისათვის შენობა დაიწყეს. ეს ალაგი იმყოფება ნიკორწმინდის სამმართველოდგან ერთის ვერსის მანძილზედ და ხოტევის სამმართველოდგან კი სამი ვერსის მანძილზედ.

ხოტევსაც თავი დავანებოთ, იმას აკრავს კიდევ ისეთი სოფლები (მაგ. წკადისი და სხარტალი), რომლებიც 5—6 ვერსის მანძილზედ დაშორდნენ სკოლას. დღემდის სკოლა ჰქონდათ ამ სოფლებს 2—3 ვერსის მანძილზედ და ზამთარში მოსწავლეს ძლიერ უჭირდა მიმოსვლა, რადგან ამ სოფლებს ძლიერ მაღალი ადგილი უჭირავთ და საშინელი ქარბუქი იცის. აწ კი, როდესაც 5—6 ვერსტზედ დაშორდა სკოლა ამ სოფლებს, როგორ უნდა ისარგებლონ, არ გვესმის!.. უმჯობესი და უფრო მოხერხებული ალაგი იქნებოდა პირველად არჩეული მომცემლიძეების ადგილი, რადგან ჯერ ერთი, რომ ნამდვილი შუა და გაშლილი ადგილი იყო და მერმე უფრო იაფად ისყიდებოდა, და, აგრეთვე სკოლის ბაღიც უფრო ივარგებდა. ერთის მხრით სკოლის და სამმართველოს გადატანამ თუმცა ზიანი მისცა ხოტეველებს, მაგრამ მეორეს მხრით კი დიდი სარგებლობაც მოუტანა: სოფელში დუქნები უმეტეს ნაწილად სამმართველოს მახლობლად არის გამართული. აქაც იყო გამართული რამოდენიმე დუქანი, სადაც კვირა-უქმე დღე მოიყრიდნენ თავს ზოგიერთნი და ჩიბუხ აბოლებული ჭორიკანობით იქცევდნენ თავს, ეკკლესია კი მივიწყებული ჰქონდათ. ეხლა გადადის რა სამმართველო, მედუქნეებიც თავისს დუქნებით თან მიჰყვებიან; ამის გამო ზოგიერთნი, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ დუქნებში უქმად დროს ტარებს, ძლიერ ჯავრობენ, რომ დუქნები შორს რჩებად და ისევ იძულებულნი იქმნებიან კვირა-უქმე დღეს ეკკლესიაში მივიდნენ და ღვთის-მსახურება მოისმინონ.

ლადო ბზვანელი

## ახალგაზდა მხედარს.

—

ბატონო ახალგაზდა მხედარო! თქვენ დარიგებას აძლევთ ყმაწვილ ქალებს, რომ თუ უნდათ მზითევი ან ფული არ მოსთხოვონ იმათმა საქმროებმა, ნუ მიჰხედვენ „მოდას“, ნუ ისმენ ფერ-უმარილს და ნურც ივლიან კლუბებში; იყვნენ ოჯახის და ქმრის ერთგულნი, დედები და ნამდვილი მეუღლენი. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი. აი სწორედ ამაზედ გკითხავ: ვინ არიან მიზეზნი რომ ქალებმა ა[illegible]ფრენით, სუბუქად და მოდის მიყოლით დაიწყეს ცხოვრება? ვინც ამისთანა გამოსულნი და პეპელად მორთულნი არ არიან, ვინ მიაქცევს ყურადღებას მორცხვსა და მართლა ოჯახის მოყვარულს, მძიმე და კეთილშობილის ხასიათის ქალებს, რომელნიც ქმრის ერთგულნი და კარგნი დედანიც იქმნებოდნენ? მაგრამ ამისათვის რომ ეს კეთილნი, ამ პატიოსანის ხასიათით უკან დარჩნენ და ის ქარიან პეპელას მგზავსნი-კი წინ წავიდნენ, კარგი ოჯახები და ცხოვრებაც იშოვნეს და არც მზითევი დასჭირდათ, უთუოდ ამის დამნახავმა კარგებმაც ძალა-უნებურად იმათ წაჰბაძეს. ვინ აიძულა ეს ქალები, რომ ამისთანა გზას დაადგნენ? ნუ თუ არა ეხლანდელმა კავალრებმა?!. ქართული ენაც იმიტომ არ დაივიწყეს, რომ თუ რუსულად არ ეჭუკჭუკნენ კავალრებს თა-

---

ერთხელ მაინც ყოფილა ამ მხარეში, ადვილად შეამჩნევდა, რომ რაჭაში მიწა ყველგან ერთფერი არ არის. მიწა ზოგან წითელი, ზოგან თეთრი და ზოგან შავის ფერისაა. ასეთივეა კლდეც. კლდეებში ჰნახავთ სტალაქტიტს, კირს, მარილს, გიშერს და სხვას; ჩვენის აზრით, ამ კლდეებში ბევრი ისეთი რამეც მოიპოვება, რაც მეცნიერებას ჯერ-ჯერობით არა აქვს გამოკვლეული. ამ გვარია, მაგალითად, რაჭის თეთრი ქვა, რომელსაც მცხოვრებლები „პონტიკის ქვას“ ეძახიან. სიტყვა „პონტიკი“, ცხადია, სხვა ენიდგან, ჩვენის აზრით, უფრო ბერძნულიდგან, უნდა იყოს გადმოღებული. ბერძნულს ენაში არის სიტყვა „ponticos“ და ჰნიშნავს „ზღვისა“-ს. რაჭაში ბერძენი ბევრია და თითქმის ყველანი ქვის მთლელები და შენობის მოხელენი არიან. ადვილად შესაძლებელია, რომ ამ ბერძნებმა დაარქვეს ქვას „პონტიკი“ და უთუოდ ამათვე შემოიღეს ამ ქვის ხმარება შენობისათვის: ეკკლესიებისა და ბურჯების ასაშენებლად რაჭაში „პონტიკს“ ჰხმარობენ. „პონტიკის“ ქვა მეტად მაგარია და სიმაგრით კაჟსაც არ ჩამოუვარდება.

ერთ ალაგას ამ ქვაში გაქვავებული ფოთოლი ვნახე. ვიფიქრე, შეიძლება ამ გვარს ქვაში ბევრი სხვა რამ ვნახო-მეთქი გაქვავებული და ვთხოვე ეჩვენებინათ ის ადგილი, სადაც ქვა იჭრებოდა. ჩემი მოლოდინი გამართლდა: კლდეს ახლო ვიპოვეთ გაქვავებული მტო, ძვალი, ფოთოლი. კლდე ყველგან ერთნაირი არ იყო: ზოგან კლდეს მოყვითალო ფერი ჰქონდა და კაჟსავით მაგარი იყო, ზოგან-კი ადვილად იმტვრეოდა და თოვლის ფერი ედო; ერთს კუთხეში ქვა ღრუბელივით დაჩვრეტილი იყო და ზოგან ცარცივით იფშვნეოდა; ერთს ალაგას კიდევ მთელი ქვა გაქვავებულ ფოთლებისაგან იყო შემდგარი. ყოველმავე ამან დამარწმუნა, რომ ქვა „პონტიკი“ რაღაც წყლის ძალით კეთდება და თუმცა ახლო წყალი არსად მოსჩანდა, მაგრამ შეიძლება წყალი ზაფხულში ჰშრება ხოლმე და სხვა დროს-კი არის. თუ ჩემი აზრი გამართლდა, ამ წყალში კირი ან გიპსი უნდა ერიოს. რასაკვირველია, კირს გარდა, წყალში სხვა სიმაგრის მიმცემი რამეც უნდა იყოს, თორემ მარტო კირი კაჟსავით მაგარს ქვას ვერ გამოიყვანდა. ამ ქვის კლდე რაჭაში ბევრგან არის. კლდე, რომლის შესახებაც ვლაპარაკობდით, გზის ნაპირას არის, სოფ. ძეგლევს ახლო, მგონი მეტრეველის ვენახშია. „სტალაქტიტი“, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, არის სოფ. ცახში და მეტად მშვენიერი შეხედულობა აქვს. სტალაქტიტიც, როგორც პონტიკი, ეკუთვნის იმ კლდის გვარს, რომელიც წყლის ძალით „კრისტალურად“, ბროლის მსგავსად, კეთდება. სტალაქტიტი გაბროლების დროს ლამაზ სვეტებად ჩამოიხმება ხოლმე და მისი კლდე შეხედულობით ლამაზ სვეტებიანს შენობასა ჰგავს.

მარილი რაჭაში ბევრია. მცხოვრებლებს ეშინიანთ ბაჟის დადებისა და არავის არ ეუბნებიან, რა ადგილას არის მარილი. ამის მიუხედავად, ერთი გარემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ მარილი ბევრს ალაგას უნდა იყოს. რაჭაში მთებში ცხვარს არა სჭირდება მარილი. მწყემსების სიტყვით, თითონ ცხვარი ჰპოულობს რაღაც მლაშე ბალახსა და იმით იკვებება. სოლმაშე, ბალახშია იგი, თუ პირდაპირ მიწაში, მარტო მარილისაგან შედგება და, მაშასადამე, მარილი ამ ალაგებში უთუოთ უნდა იყოს. ზოგიერთი სოფელი მარილს არასოდეს არა ჰყიდულობს და ახლო ნაგულევს მარილს ჰხმარობს. აქეთკენ გიშერიც ბევრია. წინად რაჭაში გიშრის კრიალოსნები და საზოგადოდ გიშრის ხელობა გავრცელებული იყო. გიშერი უფრო ლიხის მთისაკენ იცის.

რაჭა მადნეულობითაც მდიდარია. წითელი მიწა რომ აიღოთ და დაუკვირდეთ, ჰნახავთ, რომ მიწაში პატარა ნამცეცები ბრწყინავს: ზოგს ოქროს ფერი აქვს, ზოგს ვერცხლისა. არ დავივიწყოთ, რომ მდინარე რიონი, რომელიც ზემო რაჭის ახლოს იწყება და ზემო რაჭაში ჩამოდის, ძველს დროს მდიდარი იყო ოქროს სილით. ბერძნების მოწმობით რიონში (ფაზისში) ბატკნის ტყავს ჩასდებდნენ ხოლმე; ბა-

ვი ვეღარ მოიწონეს? ამის გულწრფელად განმარტებასა გთხოვთ.

ქართველი ქალი

ქუთაისი.

## ნაწყვეტები

—

დღეს უჭირს ხალხსა მრავალსა
ღვთიური ძღვენი,
და არა პოეზიისა
დაფი, ნაღარა, ებანი;
ჯერ ბრმას თვალები ავუხსნათ,
ვასწავლოთ ყველა მცნებანი,
და მერე ვამცნოთ ბუნების
სიტურფე, შესხმა, ქებანი.

დ. მაჩხანელი

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

როგორც ეტყობა, მხცოვანს გლადსტონს მრავალი თაყვანის მცემელი ჰყოლია და ამასთანავე მეტის მეტად თავის მომაბეზრებელნი. ამ პატივის-მცემლებს ჰგონიათ თურმე, რომ სამსახურიდგან გადამდგარი დიდებული მოხუცი მალიან მოწყენილი უნდა იყოსო, და ცის ამარა დღეს წერილებს უგზავნიან. ამბობენ, რომ გლადსტონს ეხლა უფრო ბევრი წერილი მისდის, ვიდრე მაშინ მისდიოდა, როდესაც მინისტრის თანამდებობას ასრულებდაო. იგი ათას გვარს წერილს იღებს. აქ შეხვდებით ლიბერალ საზოგადოებათა ადრესებს, ქება-დიდებას მისის თაყვანის-მცემლებისაგან, თხოვნას, რომლითაც გლადსტონის ხელით ნაწერს თხოულობენ, ათას გვარს საკითხავს, თუ რა აზრისაა დიდებული მოხუცი ამა თუ იმ საგნის შესახებ: როზბერის და სალისბიურის მიერ წარმოთქმულს სიტყვებისა, იბსენის პიესისა, რომელიც ლონდონში წარმოადგინეს და სხვათა შესახებ. ან კიდევ: როგორ მოსწონს ის საპონი, რომელსაც ლონდონელი მრეცხელები ჰყიდიან და სხვანი. საკვირველი აღარ არის ამის შემდეგ, რომ გლადსტონი იძულებული შეიქმნა შეჰხვეწნოდა თავისს პატივის-მცემლებს, თავი დამანებეთო, და გამოეცხადებინა, რომ „სრულიად არ შემიძლიან პასუხი ყველას მოგცეთ, მით უმეტეს, რომ წერილების გადაკითხვასაც ვერ ვასწრობო“.

—

პარიზში „სასმელების დუქნის Cafè de l'Union“-ის პატრონმა, ახალგაზდა კაცმა რევოლვერით თავის მოკვლა განიზრახა, რადგანაც თავისს საყვარელთან ჩხუბი მოსვლოდა. ამ შემახვევამ მოულოდნელად გამოააშკარავა ამ ყმაწვილის კაცის ვინაობა. იგი ყოფილა ლუი-დე ბურბონი, ნაუნდორფების შთამომავალი, 29 წლისა, ძმა სამეფო ტახტის მამიებლისა.

# ახალი ამბავი

—

*** გენერალ ადიუტანტი შერემეტიევი პეტერბურგს მხოლოდ 8 ნოემბერს მისულა.

*** ქ. ოზურგეთი. წრეულს ჩვენსკენ ადრე აცივდა. სექტემბრის დამდეგს გარშემო მთებზედ თოვლი დასდო, ამას მოჰყვა განუწყვეტელი წვიმები და ქარი, რის გამოც სიმინდი და ყურძენი რიგიანად ვერ დამწიფდა. წრევანდელის უამინდობის გამო, მოსავალი გურიაში საზოგადოდ ნაკლებია შარშანდელზედ.

*** ცხინვალი: ამ დღეებში მთელი ცხინვალი კინაღამ არ გადაიწვა. ცეცხლმა ურიების უბანი შთანთქა. ბ-ნის გუგუშვილსა და ხალხის მეცადინეობით ცეცხლი მეტად აღარ გაძლიერდა. ბევრს ისე შეეშინდა, რომ ბარგს ალაგებდენ და სახლიდგან გამოსვლას აპირებდნენ.

*** ქუთათელ ნოქრებს საჩივარი შეუტანიათ საბჭოს იმ დადგინებისა გამო, რომლის ძალითაც კვირაუქმე დღეს ვაჭრობა დილით აღკრძალულია მხოლოდ შუადღის 12 საათამდე.

*** ქ. დუშეთი. 5 ამ თვისას დაიწყო აქ კენჭისათვის ხალხის თავმოყრა. მაზრის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მოწვეული იყო ჯარში გასაყვანად 113 კაცი. სრულს სამსახურზედ 28 კაცი, მხოლოდ დანარჩენნი თვის სასახურში. 28 კაცს შორის, ზოგნი წინა წლებში უვარგისად ცნობილი მოაკლდნენ, რიცხვით 6 კაცი, მხოლოდ დანარჩენთ 22 ახლებსა ჰხვდათ. კენჭმა 94 ზევით არ აიწია და ჯარის კაცად გამოწვეულების სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, რომ უმეტესობას მარტო თვის სამსახური შეჰხვდა.

აქეთ ზიმთრის პირის წვიმიანი და ნისლ-ბურუსიანი დღეები დაიჭირა. ახლო-მახლო მთები კიდეც ჩამოთოვლა.

*** გაზ. „Нов.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ სულთანს უბრძანებია დაუყონებლივ გამოიძიონ ქურთებისაგან სომხების აკლება.

## ტფილისის მესტამბეების საყურადღებოდ.

(მცირე შენიშვნა)

ვერც ერთი ქარხანა და სახელოსნო მოგებითა და ნაღდის ვაჭრობით ვერ შეედრება სტამბას, მაგრამ არც ერთი სახელოსნო ქარხანა არ ექცევა მომუშავეს ისე ცუდად, როგორც სტამბის პატრონები. ვინც კი ცოტაოდნად დაახლოვებულია სტამბასთან და იცის იმისი წეს-წყობილება, ყველა განცვიფრებაში მოდის. როგორა ჰმუშაობენ იქ ხალხიო. აიღეთ, მაგალითად, ჰაერი, ეს უპირველესი მაცოცხლებელი ადამიანისა. განა ამ ჰაერში ცხოვრება შეიძლება? განა არის სადმე ისეთი მოწამლული ჰაერი, როგორც სტამბაშია, ან ისეთი უსუფთაობა, როგორც აქ? გარწმუნებთ, რომ სტამბის მოწამლულ-მოშხამული ჰაერი ისე აჭკნობს უდროოდ ადამიანს და უსპობს სიცოცხლეს, როგორც ზამთრის სუსხი აყვავებულს ხეხილებს. კიდეც ამიტომ არის, რომ ვერ შეხვდებით სტამბის მომუშავეთა შორის ცოტაოდნად ხანშესულს კაცს. სტამბის მომუშავე, რომელსაც ორი-სამი წელიწადი ხელობის სწავლაზედ მომცდარა, ანებებს თავს ამ ხელობას და გადადის სხვა ხელობაზედ, ან ჭლექში ვარდება და უპატრონოდ და ხშირათ ექიმის გაუსინჯავადაც-კი ესალმება ამ წუთი-სოფელს!..

ყოველს გაჭირვებას იტანს საწყალი მუშა, იმიტომ რომ ცოტაოდენი გროში, ამ წვითა და დაგვით მოპოვებული, თავისს დროზედ მიიღოს და იმითი გაუძლვეს ყოველს თავისს საჭიროებას. უბედურება ის არის, ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ იგი ამ ფულს თითო შაურობით და თითო გროშობითაც-კი იღებს. ზოგს სტამბაში ისეთი წესია შემოღებული, რომ თვეში ორ ჯერ იღებენ (საზოგადოდ-კი შაბათობით), მაგრამ ამ წესს ძლიერ იშვიათად ასრულებენ სტამბის პატრონები. მოაწევს თუ არა დანიშნული დღე, რომელსაც სიხარულით ეგებებიან მომუშავენი, იმ დღეს სათოფედაც არ მიეკარება სტამბის პატრონი (თუმცა ეს ყველას შესახებ არ ითქმის). და თუ რაიმე საჭირო საქმემ აიძულა მოსვლა, ის მაშინვე მიზეზებს მოჰყვება. თუ ვინიცობაა რომელიმე მუშათაგანმა ხმა ამოიღო და ზრდილობიანად და სამართლიანად თავისი ნაშრომი თავისს დროზედ მოითხოვა, სტამბის პატრონი ფეხის ბაკუნით და გინებით ისტუმრებს. ამის მნახველი სხვა მუშები განა გაჰბედავენ, რომ ხმა ამოიღონ, ან ამხანაგს გამოესარჩლონ და თავიანთი ინტერესი დაიცვან?.. თავ-ჩაღუნულები გამოდიან გარედ და გულს ხელ-დაკრეფილები მიდიან თავიანთ ცოლ-შვილთან, სადაც ერთად ათას გულის მომაკვდინებელს ოხვრას და წყევა-კრულვას გაიგონებთ...

აი, ასეთია დღევანდელი მდგომარეობა სტამბის მუშა ხალხისა, რომელთა სანუგეშოდ ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგება საქმისა არა სჩანს, გარდა იმისა, რომ თუ ასე გასტანა, კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა მოელით'..

ნუთუ ასოთ-ამწყობთა ასეთს მდგომარეობას შველა და ხსნა არსაიდგანა აქვს?.. ნუთუ ამ გაჭირვებაში მომუშავეთ გულ-შემატკივარი არავინ გამოუჩნდებათ?!

ერთი მუშათა გულშემატკივართაგანი

## თეატრი და მუსიკა

—

რადგან დრამატიულ საზოგადოების გამგეობას წრეულს საკუთარი სათეატრო დასი აღარა ჰყავს და ამის გამო საზოგადოების სხვა საქმეთა განსახილველად მეტი დრო აქვს, საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებისა და რეპერტუარის გაუმჯობესობისა და განახლების გარდა, გამგეობას განზრახული აქვს თავისი წიგნთ-საცავი და გარდერობი რიგზედ მოიყვანოს. ამისათვის წიგნთ-საცავის ყოველი ვარგისი და ნათამაშევი პიესა ორ ცალად გადაიწერება და გადაიკაზმება; ამავე პიესებისათვის გადაიწერება როლები.

გარდერობის ცნობაში მოყვანა მიენდო გამგეობის წევრს ბ. ნ. ავალიშვილს და რა-კი გამოირკვევა, რა ხარჯი დასჭირდება მის გაუმჯობესებას და განახლებას, გამგეობა ამისათვის საჭირო ფულს გადასდებს.

—

წარსულ სეზონების ანგარიშებიდგან სჩანს, რომ დრამატიულ საზოგადოებას სარეკვიზიტო ნივთების ქირაში იმდენი ეხარჯებოდა, რომ იმით ახალის ნივთებას შეძენად შეიძლებოდა. მომავალში ამ გვარის უნაყოფო ხარჯის ასაცილებლად, გამგეობამ დაავალა თავისს ორ წევრს, რომ მათ შეადგინონ სია იმ ნივთებისა, რომლებიც უფრო ხშირად სჭირდებოდა ხოლმე სცენას წარ-სულს სეზონებში. როცა ეს სია შესდგება და შიგ მოხსენებული ნივთების საჭიროებას გამგეობაც აღიარებს, მაშინ გამგეობა ეცდება საკუთრებად შეიძინოს ის ნივთები.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივ-ცემულის გაზეთის საშუალობით, მე და ჩემმა მრევლმა, გამოვუცხადოთ უგულითადესი მადლობა ჩემდამო რწმუნებულ მთავარ ანგელოზთა საკრებულო ტაძრის მნათეს, მეორე გილდიის ვაჭარს, გიორგი ბერას მეს კოსტავას, რომელმაც შემოსწირა ხსენებულს ტაძარს თვრამეტ თუმნად ღირებული ვერცხლის ხატი წმიდის გიორგისა (ოქროთი მოვარაყებული) და მეორე გილდიის ვაჭარს, დიმიტრი ზაალის მეს ბოკერიას, რომელმაც შემოსწირა ამავე ტაძარს ერთი ბრინჯაოს ჯვარი, ტრაპეზზედ დასადები, ღირებული ოთხ მანეთად.

დეკან. რაჟდ. გიგაური

სამს ნოემბერს მომხდარს სახელმწიფო საადგილ-მამულო 5⁰/₀ მეათე ტირაჟში 500 მანეთიანი მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

1: 4604, 7498, 7933.
2: 718, 2064, 6401, 7788, 8292, 9399, 13353.
3: 2212, 2340, 3758, 6933, 11858, 13831, 14198, 15872.
4: 7732, 10247, 11238, 13668, 1508, 15810.
5: 2508, 4237, 10662, 10039, 15877, 15905.
6: 8367, 15585, 15895.
7: 1964, 2882, 6986, 9629, 10568, 10674, 10963, 12109, 14628.
8: 2221, 4810, 13758.
9: 2005, 3601, 4441, 5130, 5402, 5706, 14897, 15417.
10: 4075, 4221, 5591, 6023, 9575, 12767, 13662.
11. 5555, 11772.
12: 302, 1274, 1849, 4903, 15368.
13: 75, 652, 1380, 3734, 3983, 9152, 9698, 9771.
14: 2042, 13616.

---

ლანს ოქრო მოესხმებოდა და ამ გვარად ამოჰქონდათ რიონიდგან ოქრო. ამ ახლო ხანს სოფ. ძეგლევში სურმა აღმოჩნდა. ამ მადანს პატარა ისტორია აქვს. რამდენსამე წლის წინად ინგლისელებს გაესინჯათ ეს ალაგი და ეთქვათ, აქ ოქროზედ ძვირი მადანი არისო. შემდეგ ერთს ინჟინერს დაეწყო მთის თხრა. დაბინდების დროს მიეტოვებინა ნახევრად გამოჩენილი მადნის კუმში და წასულიყო მოსასვენებლად. დილით ეს მადანი იქვე ძველს ალაგას ვეღარ ენახათ. მეორედ მადანი მიჩქმალულიყო დღისით, ინჟინერისა და მთხრელების იქ ყოფნის დროს. რაკი ენახათ მადნის გაქრობა, მთხრელებს გადაეწყვიტათ, რომ მადანს ეშმაკები ჰპატრონობენო და მიეტოვებინათ ეს «ჭინკიანი» ადგილი.

მე-კი, ამის გამგონე, დავრწმუნდი, რომ მადანში ვერცხლის წყალი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მადნეულობაში მარტო ვერცხლის წყალს აქვს თვისება თავისით მოძრაობისა. ჩემი აზრი გამართლდა: ცეცხლში ჩაგდებულ მადნიდგან გამოვიდა ვერცხლის წყალი. ვერცხლის წყლის გარდა, ერთს მხარეს შეგროვდა რაღაც ყვითელი მიწა. ეს მიწა, რასაც-კი მივაკარე, ყველაფერსა ღებავდა. ვერცხლის წყალი, როგორც მეცნიერებამ გამოიკვლია, ცალკე არ არის ხოლმე: იმას ყოველთვის სხვა რამე ერთვის. იგი მიიზიდავს ხოლმე ახლო მყოფ დასუმბუქ ფხვნილეულობას და შეერთების დროს მადანს მიეცემა ის ფერი, რაფერსაც უფრო გამოსცემს სხვა-და-სხვა ნივთიერების ერთად შეერთება ან მიკარება. ჩვენ მიერ ნახულს ნაცრის ფერი ადევს. შიგ თეთრი ოქრო ურევია — ლითონი.

ზვერეთის საზოგადოებაში, სოფ. კვაშხეთ ახლო, რაღაც მადანია. მადანი არ მინახავს. მცხოვრებლების სიტყვით-კი, ოქრო არის. სოფ. საკაოს ახლოც რაღაც მადანი აღმოჩენილა. რკინით რაჭა მეტად მდიდარია. ამას ამტკიცებს რკინის წყლების სიმრავლე. ზემო-რაჭის უმეტესს სოფლებში, მეტადრე იმაში, რომელიც მაღლობზეა, რკინის წყალსა ჰნახავთ. სოფლები: უწერა, გლოვლა, ძეგლევი, ღარი სასმელად რკინის წყალსა ჰხმარობენ. რკინის წყლებს რაჭაში მჟავე წყალს ეძახიან. მჟავე წყალსავე ეძახიან სხვა გვარ მადნეულ შუშხუნა წყლებსაც. წყლები რაჭაში ჯერ არ გასინჯულა და იმათი თვისება ხეირიანად არ არის გამოკვლეული. ამის გამო უმეტესი ნაწილი წყლებისა რაჭისათვის უსარგებლოდა და გამოუყენებლათა რჩება. მარტო უწერაში დაუწყიათ ამ ბოლო ხანს სამკურნალო აბანოების გამართვა და ისიც თავისებურად, უხერხულად. სასურველია, რომ ამ სიმდიდრეს დროზედ დაეპატრონონ ჩვენები და, ჩვეულებისამებრ, არ ჩაუგდონ სხვებს ხელში. საკვირველია, რომ ჩვენი ექიმები, ეხლანდელ უფეულობაში და გამდიდრების სურვილში, რომლითაც ექიმები გათქმულნი არიან, ჯერ არ დაჰპატრონებიან ამ სიმდიდრის წყაროს.

წყლებს გარდა, რაჭაში ბევრს ალაგას მიწიდგან რაღაც მჟავე ჰაერი, ამოდის, რომელსაც მცხოვრებლები სასუნებელს უწოდებენ. რა გვარი ჰაერია და შეიძლება თუ არა მის სურნელოვანება, იმითი მკურნალობა, როგორც მცხოვრებლებსა სწამთ, ჯერ ჯერობით ჩვენ ვერას ვიტყვით. ერთს ალაგას (უწერას ახლო) ჩვენგან ნახული სასუნებელი, ჩვენის აზრით, ნახშირ-მბადი უნდა იყოს, რადგანაც ცეცხლს აქრობს და კაცს სულს უხუთავს. დიდი ხანი არ არის, რაც მცხოვრებლების სიტყვით, ერთმა დედაკაცმა შეისუნთქა ეს ჰაერი და სული დალია თურმე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეს მჟავე ჰაერი ნახშირ-მბადი არის და ნახშირ-მბადის სუნთქვა მგონი, სასარგებლო-კი არა, მავნებელი უნდა იყოს. მაინც და მაინც ჯერ-ჯერობით დარწმუნებით ამ ჰაერის შესახებ ვერას ვიტყვით.

რაც შეეხება თვით ნიადაგს, რაჭაში ნიადაგი, ასე ერთს საჟენზედ, ან საჟენ ნახევარზედ, რომ ჩასჭრათ, სამგვარი მიწის წყობას წარმოადგენს. სულ ზემოდა კეცა ორი მტკაველის სისქე შავი მიწაა. იმის ქვეშ ბარე ხუთს მტკაველზედ სძევს ქვიშა და ქვიშის ძირს-კი თიხაა. ამგვარ ნიადაგს რაჭაში გამოუწვევია ორი მოვლენა: მეწყერი და მიწის ნოყიერობა — მცენარეობის სიმდიდრე.

წვიმის წყალი ნიადაგის პირველ კეცს ჰჟონავს და, რომ მიაღწევს

15: 855, 2829, 7288, 13413.
16: 2189, 13588, 15790.
17: 2238, 6426, 9112, 15282.
18: 638, 6029, 8273, 9804, 12128, 12363.
19: 767, 1040, 14834.
20: 422, 11592, 11966, 14754.
21: 1617, 5440, 5663, 6267, 10160.
22: 520, 1099, 5250, 9551, 14471.
23: 5547, 8923, 8960.
25: 3300. 7642, 8652, 9096, 11667, 11942, 14894.
26: 9939, 11170, 15616.
27: 283, 1473, 1676, 2943, 3731, 7973, 8711, 10287, 10298, 10644, 11889.
28: 1487, 5210, 5649, 6741, 7388, 9256, 9193, 9333, 10198.
29: 1052, 8362, 14765.
30: 785, 1676, 12499, 13077, 13703, 14693.
31: 1997, 2843, 8298, 11950.
32: 4853, 11460, 12351, 13851.
33: 1846, 4336, 4482, 8655, 9990.
34: 1879, 4974, 5132, 5495, 5657, 7196, 7518, 14563.
35: 1485, 1642, 3053, 3620, 5965, 6370, 10854, 11358, 13633, 13810, 14850.
36: 4466, 9109, 9332, 12559.
37: 306, 1532, 2005, 2379, 8150, 14212, 14704.
38: 11, 157, 2206, 12388.
39: 4331, 4517, 4616, 11227.
40: 237, 3810, 7951, 8158, 8743,
41: 7046, 7149, 11751, 12394, 1248, 12512, 13017.
42: 5642, 6886, 7637, 9349, 15912,
43: 4375, 10753, 12697, 13965.
44: 374, 13722, 14023.
45: 1409, 5286, 5808, 6790, 14620, 15673.
46: 1877, 6846, 8531, 10607, 15313.
47: 7773, 10035.
48: 1328, 1662, 3773, 7290, 9365, 12150, 13904.
49: 2841, 4633, 7268, 7893, 8197, 9007, 10384, 11587.
50: 150, 12853.

### პეტერბურგის ბირჟა, 8 ნოემბერი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,38 | 7,41 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 147½ | 148¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 240½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 219 |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 189 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | 101 |
| 5% | — „ | — „ | 98¾ |
| ქუთაისის ბანკის 6% | 101 | — „ | — „ |
| 5% | 99 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ-სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუზსი, 7—7½ საათ-სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



თესლეულობის დეპო შულცია

მოადგილე მ. ი. ფედოროვსკი

ფირმა არსებობს 1832 წლიდგან.

მოსკოვი, ბაღის ქუჩა, წითელ ჭის კარებთან, სახლი რაუზერისა.

სრული ნახატებიანი კატალოგი ბოსტნეულისა, ყვავილებისა და სოფლის მეურნეობის თესლეულობისა დაიბეჭდება 1894 წ. დეკემბრის თვეში. ჩვენს პატივცემულს მუდმივ ვაჭრებს კატალოგი უფასოდ გაეგზავნებათ. იმათი-კი, ვინც პირველად დაიბარებს კატალოგსა, კეთილ უნდა ინებონ და ოთხი შვიდ-შვიდ კაპიკიანი მარკა გამოგზავნონ. თუ სამს მანეთზედ მეტის თესლეულობას საფასურში დაიბარებენ, მაშინ ეს ფული ჩაერიცხებათ. ყველა თესლეულობა სამზღვარგარეთის ცნობილს მრეწველებისგან არის გამოწერილი და ჩვენს დეპოში შემოწმებული ამითი სიკეთე.

ვისაც გამოწერა სურს რუსულად უნდა მოიწერონ.

(8—1819—5)



კბილის ექიმი

# ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—32)



დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა
თავ. იასონ ციციშვილისა
ფასი 15 კაპ.



# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქციის იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოცდა-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |


ხოლმე მესამე კეცს—თიხას, ჩერდება: თიხა თავისის სიმკვრივის გამო წყალს ქვეით არ უშვებს. თუ თიხის ზემოდგან წყალი ბლომად მოგროვდა, აიტივტივებს შავ მიწას და ქვიშას დმ მთიდგან ძირს ჩამოაცურებს. ამ დროს ქვიშა, როგორც შეუერთებელი ნიადაგი, საგორავის მაგიერობას უწევს და შველის წყალს შავი გამაგრებული მიწა მთიდან დაუშლელად ჩამოაცუროს. მიწა მთიდგან კარგს მანძილზე მოსწყდება ხოლმე და ჩამოდის ძირს. ამ მოვლენას რაჭაში მეწყერს ეძახიან. მეწყერი ბევრს უბედურებას მოახდენს ხოლმე. ყოფილა მაგალითი, რომ მეწყერს შენობა, მთელი სოფელი მიწით დაეფაროს.

ამ უბედურების სამაგიეროდ რაჭის ნიადაგს ერთი კარგი თვისებაცა აქვს. მეცნიერებამ გამოიკვლია, რომ მიწის ნოყიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოვლენას, რომ მიწა რამდენსამე სიღრმეზედ დასველებულია და არ შრება. ეს მიწის სისველე შველის მცენარის ძირებს მიწიდგან საზრდოს გამოწოვას და ამიტომ მცენარისათვის გვალვა ისეთი საგრძნობელი და მავნებელი არ არის.

ამ გვარად რაჭის ნიადაგის თვისება, ე. ი. თიხის მიერ წყლის შეჩერება, ხელს უწყობს მიწის ნოყიერობას. რასაკვირველია, შავს მიწასა და თიხას შუა, რომ ქვიშა არა ყოფილიყო, მეწყერი არ იქნებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, წყალი მიწაში ველარ გაჩერდებოდა და მზე მიწას ჩქარა გააშრობდა. ამიტომაც რაჭაში მცენარე დიდხანს ნცოცხობს და დიდ გვალვას დროსაც ნაყოფი მოაქვს. თუ პური და სხვა მოკლე ფესვიანი მცენარე ხეირიანი არ იცის, ეს იმითი აიხსნება, რომ რაჭველები ღრმად არა ჰხნავენ და მარცვალსაც მიწაში ღრმად არა ჰფლავენ ხოლმე. ამას გვარწმუნებს ჩვენ, მაგალითად, დიდ ფესვებიან სიმინდის კარგი მოსავალი. საზოგადოდ იმგვარ ნიადაგში, როგორიც არის რაჭის ნიადაგი, ის მცენარე უფრო იხეირებს და მეტს მოსავალს მოიტანს, რომელიც ფესვებს უფრო ღრმად გაადგამს მიწაში.

ამით ვათავებთ რაჭის ფიზიკურს აღწერას. რასაკვირველია ჩვენ, როგორც არა ბუნების მეტყველს, არა გვქონდა შეძლება დაწვრილებით გამოგვეკვლია ყველა ის, რითაც მდიდარია რაჭის ბუნება; ამასთანავე ჩვენ არა გვქონდა ის საშუალებანი, რომელიც ბუნების-მეტყველს უნდა ჰქონდეს. ჩვენ გამოკვლევას უმეტესად საეგზიო ხასიათი ჰქონდა. რაჭაში მოგზაურობის დროს სულ სხვა საგანი გვედგა თვალ-წინ და მარტო შემთხვევით აღვნიშნეთ ის, რის შესახებაც ზემოდ ვლაპარაკობდით. ვისურვებთ, რომ ჩვენი მეცნიერები, მეტადრე სტუდენტობა, ხეირიანად დაუკვირდნენ რაჭის ბუნებას და მეცნიერულად გამოიკვლიონ მისი სიმდიდრენი. მოსკოვსა და ხარკოვში ყოველ ზაფხულობით რუსი სტუდენტები შეიკრიბებიან ხოლმე და მიემგზავრებიან ხან ურალისაკენ, ხან ჩვენის სამშობლოს ბუნების გამოსაკვლევად. კარგია, რომ ჩვენმა სტუდენტობამაც წაჰბაძოს ამ მხრივ რუსებს. სირცხვილია, რომ ჩვენთვის ისიც სხვამ გააკეთოს, რაც ჩვენ თითონ ადვილად შევიძლიან.

გ. ი. გძელიშვილი

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Ноября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.